



**სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა**



KA080162901465820

№ 741

27 / თებერვალი /
2020 წ.

**შპს „სამშენებლო კომპანია მამისონის“ თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადის
გაგრძელების შესახებ**

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2020 წლის 4 და 5 თებერვალს წარმოდგენილ იქნა შპს „სამშენებლო კომპანია მამისონის“ (ს/ნ: 205204250) 2020 წლის 4 თებერვლის №M-17/20 მომართვა და 5 თებერვლის №M-18/20 დაბუსტებული მომართვა (რეგისტრაციის № 1456 და № 1497), რომლითაც მიმწოდებელმა მოითხოვა თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადის გაგრძელება. შპს „სამშენებლო კომპანია მამისონმა“ 2020 წლის 21 თებერვალს წარმოადგინა 2020 წლის 21 თებერვლის № M-23/20 დაბუსტებული მომართვა (რეგისტრაციის № 2279), რომლითაც გამოასწორა მის მომართვაზე სააგენტოს 2020 წლის 11 თებერვლის № 494 წერილით დადგენილი ხარვეზი.

სააგენტომ განიხილა მიმწოდებლის მომართვა და დაბუსტებული მომართვა თანდართული დოკუმენტაციით და მიიჩნევს, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3, მე-4 და მე-7 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

დადგენილია, რომ შპს „სამშენებლო კომპანია მამისონის“ (ს/ნ: 205204250) თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადა იწურება 2020 წლის 17 მარტს. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-6 და მე-7 მუხლების შესაბამისად:

1. შპს „სამშენებლო კომპანია მამისონის“ (ს/ნ: 205204250) 2020 წლის 18 მარტიდან გაუგრძელდეს თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადა.
2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.
3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამბდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე